შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი

სატენდერო დოკუმენტაცია

საბურავების შესყიდვა ელექტრონული ტენდერის საშუალებით

ქ. თბილისი 2011 წ.

ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება „გამარტივებული შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად.

1.2 **გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან ელექტრონული ტენდერის** გამოცხადებისთანავე, თქვენ გეძლევათ საშუალება გაეცნოთ სატენდერო განცხადებას და დოკუმენტაციას. სატენდერო წინადადების მიღება იწყება წინადადების მიღების ვადის დასრულებამდე **გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში 2 დღით ადრე,** ხოლო **ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში 5 დღით ადრე.**

1.3 სატენდერო წინადადების წარდგენისათვის უნდა იყოთ დარეგისტრირებული სისტემაში მიმწოდებლის სტატუსით. შემდეგ ვალდებული ხართ გაეცნოთ აფიდავიტს და დაეთანხმოთ მას (გაცნობას და თანხმობას ადასტურებთ სისტემის მეშვეობით).

1.4 ამის შემდეგ, მიმწოდებელი ვალდებულია ჯერ წარმოადგინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია, ხოლო შემდეგ გადაიხადოს ტენდერში მონაწილეობის საფასური, აღნიშნული ქმედებები განხორციელებული უნდა იქნას ელექტრონულად სისტემის მეშვეობით. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1%–ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა უნდა განისაზღვრებოდეს სატენდერო განცხადებაში მითითებული ვადის შესაბამისად. ტენდერში მონაწილეობის საფასური შეადგენს 50 ლარს.

1.5 მას შემდეგ, რაც ზემოაღნიშნულ ქმედებებს განახორციელებთ, თქვენ უფლება გაქვთ სისტემის მეშვეობით წარადგინოთ სატენდერო წინადადება, რომელიც ძალაში იქნება „გამარტივებული შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის” მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ”, „რ” ან „ტ” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპების დადგომამდე.

1.6 სატენდერო წინადადება შედგება სატენდერო წინადადების ფასისგან და ტექნიკური დოკუმენტაციისგან.

1.7 ტექნიკური დოკუმენტაცია არის პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტის შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით, გარდა ადმინისტრაციული ორგანოდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა.

1.8 ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ, თქვენ გაქვთ შესაძლებლობა მიუთითოთ თქვენი სატენდერო წინადადების ფასი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებას. სატენდერო წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადისა და ტრანსპორტირების ხარჯის გათვალისწინებით.

1.9 სატენდერო წინადადების ფასის მითითებისთანავე თქვენ უფლება გაქვთ მიიღოთ მონაწილეობა ელექტრონულ ვაჭრობაში, რომელიც იყოფა ძირითად დროდ და დამატებით 3 რაუნდად.

1.10 ძირითად დროში უფლება გაქვთ ცვალოთ თქვენი ფასი, კლებადობის პრინციპის გათვალისწინებითა და შემსყიდველის მიერ განსაზღვრული ბიჯზე არანაკლები ოდენობით.

1.11 ბიჯი არის სატენდერო წინადადების ფასის კლების წინასაწარ განსაზღვრული მინიმალური ოდენობა, რომელიც მითითებულია სატენდერო განცხადების შესაბამის ველში.

1.12 დამატებითი რაუნდების თითოეულ რაუნდში პრეტენდენტს უფლება აქვს მხოლოდ ერთხელ შეამციროს წინადადების ფასი, რისთვისაც განესაზღვრება ორი წუთი. დამატებით

რაუნდებში მონაწილეობა სავალდებულო არ არის და პრეტენდენტს უფლება აქვს რაუნდში მონაწილეობა არ მიიღოს და შესაბამისად, ძალაში დარჩება მის მიერ ბოლოს დაფიქსირებული ფასი. რაუნდებში მონაწილეობის მიღება გულისხმობს ზემოთ აღნიშნული პრინციპით ფასის შემცირებას ან მის იგივე ოდენობით დატოვებას.

1.13 პირველ რაუნდში პრეტენდენტის მიერ წინადადების ფასის წარდგენის რიგითობა განისაზღვრება ძირითად დროში წარდგენილი წინადადების ფასის მიხედვით, კერძოდ, პირველ რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც ძირითად დროში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა, ხოლო ყოველ მომდევნო რაუნდში - კი ის პრეტენდენტი, რომელმაც წინა რაუნდში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა. წინადადების თანაბარი ფასების დაფიქსირების შემთხვევაში, რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც პირველმა დააფიქსირა ასეთი ფასი.

1.14 მას შემდეგ, რაც დასრულდება დამატებითი რაუნდები, სისტემა პრეტენდენტებს აჯგუფებს სატენდერო წინადადების ფასის მიხედვით. ამის შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოწმდება ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია.

1.15 იმ შემთხვევაში თუ ორი ან მეტი პრეტენდენტის მიერ სისტემაში მითითებულია თანაბარი ფასი, სისტემა ავტომატურად ანიჭებს უპირატესობას იმ პრეტენდენტს, რომელმაც პირველმა მიუთითა სატენდერო წინადადების აღნიშნული ფასი.

1.16 თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი მას განუსაზღვრავს არაუმეტეს 3 სამუშაო დღისა ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტებისათვის. დაუშვებელია ტექნიკური დოკუმენტაციის ისეთი დაზუსტება, რომელიც გამოიწვევს სატენდერო წინადადების არსებით ცვლილებას და მოახდენს გავლენას წინადადების ფასზე.

1.17 თუ პრეტენდენტის სატენდერო წინადადება შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს მას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გასაცემი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნით (რომელიც მოთხოვნილია სატენდერო განცხადებითა და/ან დოკუმენტაციით). საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემის თარიღი **გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში არ უნდა უსწრებდეს ტენდერის გამოცხადების თარიღს, ხოლო ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში არ უნდა უსწრებდეს სატენდერო წინადადების მიღების ვადის დაწყების თარიღს.** საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენისათვის შემსყიდველი პრეტენდენტს განუსაზღვრავს ვადას არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა.

1.18 იმ შემთხვევაში თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტმა წარმატებით გაირა ყველა ზემოთ მოყვანილი ეტაპი (არ იქნა დისკვალიფიცირებული), ამ პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, შემსყიდველი დებს მასთან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას.

1.19 პრედენდენტის დისკვალიფიკაცია ხდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენისას.

ბ) თუ პრეტენდენტი უარს აცხადებს მის მიერ წარმოდგენილ სატენდერო წინადადებაზე;

გ) თუ საუკეთესო ფასის მქონე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება (ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების შემდეგ) სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;

დ) თუ გამარჯვებული პრეტენდენტი უარს განაცხადებს ხელშეკრულების დადებაზე ან ვერ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას (ასეთი გარანტიის არსებობის შემთხვევაში) კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაში;

ე) პრეტენდენტის მიერ არაკეთილსინდისიერი ქმედების განხორციელებისას.

1.20 1.19 ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოებების შემთხვევაში სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია დაბრუნებას არ ექვემდებარება.

1.21 ამ პუნქტის 1.19 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს ყველაზე დაბალი ფასის მქონე მომდევნო პრეტენდენტს, თუ ამ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემულ მოთხოვნებს.

1.22 ელექტრონული ტენდერის შეწყვეტა:

ა) სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეწყვიტოს ტენდერი თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრედენდენტის დისკვალიფიკაციის შემდეგ, თუ მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის წინადადების ფასი ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად, მნიშვნელოვნად აღემატება დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ ფასს ან/და ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას.

ბ) სატენდერო კომისიას უფლება აქვს გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის შემთხვევებში ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე;

გ) შესყიდვის პროცედურების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, პრეტენდენტებს წარუდგინოს კონკრეტული მტკიცებულება ან დეტალური ინფორმაცია, რომლის საფუძველზედაც მიიღო ეს გადაწყვეტილება. შესყიდვის პროცედურების შეჩერებისას ან შეწყვეტისას შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, აანაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

1.23 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.24 დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.25 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

1.26 ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.27 პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები

საუკეთესო (დაბალი) ფასის მქონე პრეტენდენტმა, რომლის სატენდერო წინადადება შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, უნდა წარმოადგინოს ადმინისტრაციული ორგანოებიდან გასაცემი შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:

• იურიდიულმა პირმა:
ა) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ;
ბ) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) პირების რეესტრიდან;
გ) ცნობა შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ;
დ) ცნობა სასამართლოდან, მასზედ რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის (გაკოტრება ან სანაციია) საქმის წარმოება.

• ფიზიკურმა პირმა:
ა) ცნობა სასამართლოდან, მასზედ რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის (გაკოტრება ან სანაციია) საქმის წარმოება.
ბ) ცნობა შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ;
გ) ცნობა მისი ქმედუნარიანობის შესახებ;

შენიშვნა:
პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხორციელდება სისტემის გამოყენების გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, სატენდერო კომისია მოახდინს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

• როგორც ფიზიკურმა ისე იურიდიულმა პირებმა გამარჯვების შემთხვევაში უნდა წარმოადგინონ:

ა) ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, სახელშეკრულებო თანხის 2%–ის ოდენობით. აღნიშნულ გარანტიაში მითითებული უნდა იქნას შესყიდვის კონკრეტული დასახელება, აღნიშნულ შესყიდვასთან დაკავშირებით ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსებული განცხადების ნომერი და პრეტენდენტის საიდენტიფიკაციო კოდი. აღნიშნული გარანტიის მოქმედების ვადა უნდა განისაზღვრებოდეს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტი:

საბურავები - დანართი №1-ში მითითებული პოზიციების შესაბამისად.

შენიშვნა: შემოთავაზებული საქონელი უნდა იყოს ახალი, ქარხნული წარმოების და საბურავის ექსპლუატაციის (გარბენის) მინიმალური რესურსი უნდა განისაზღვრებოდეს არანაკლებ 40000 კმ-ით.

საქონლის მიწოდების ვადები:

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის მიწოდება, ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ დანართი №2-ში მითითებული ვადების შესაბამისად, შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ქიზიყის ქ. №5 (შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საწყობი).

დაფინანსების წყარო:

სახელმწიფო ბიუჯეტი.

სატენდერო წინადადების ფასი:

- შემოთავაზებული საქონლის ფასი უნდა შეიცავდეს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, მათ შორის ტრანსპორტირების ხარჯებს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.
- შემოთავაზებული საქონლის საერთო და ერთეულის ფასების წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარებში.
- თუ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასიდან გამომდინარე ერთეულის ღირებულებები დაჯდება მრავალნიშნა ათწილადი, პრეტენდენტი ვალდებულია გამარჯვების შემთხვევაში ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის ერთეულის ღირებულება შეამციროს და დაამრგვალოს მეასედებამდე, შესაბამისად შეამციროს საერთო ღირებულებაც.

ანგარიშსწორების პირობები:

- ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.
- ანარიშსწორება განხორციელდება საქონლის ყოველი პარტიის გადაცემის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში
- შესაძლებელია განხორციელდეს წინასწარი ანგარიშსწორება, წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი წინასწარ გადასახდელი თანხის იდენტური ოდენობის საბანკო

გარანტიის საფუძველზე, არაუმეტეს მთლიანი თანხის 80%-სა. აღნიშნულ გარანტიაში ასევე მითითებული უნდა იქნას შესყიდვის კონკრეტული დასახელება, აღნიშნულ შესყიდვასთან დაკავშირებით ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსებული განცხადების ნომერი და პრეტენდენტის საიდენტიფიკაციო კოდი. აღნიშნული გარანტიის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს საქონლის მიწოდების საბოლოო ვადას.

აუცილებელი პირობა:

- პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული საქონლის ერთეულის ფასი და საერთო ფასი, ასევე საქონლის ძირითადი მახასიათებლები და მწარმოებელი ქვეყანა მითითებული უნდა იქნას დანართი №1–ში.
- თუ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასიდან გამომდინარე ერთეულის ღირებულებები დაჯდება მრავალნიშნა ათწილადი, პრეტენდენტი ვალდებულია გამარჯვების შემთხვევაში ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის ერთეულის ღირებულება შეამციროს და დაამრგვალოს მეასედებამდე, შესაბამისად შეამციროს საერთო ღირებულებაც.
- შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში სავალდებულოა წარმოდგენილ იქნეს შემოთავაზებული საქონლის ნიმუშები ყველა პოზიციის და/ან კონკრეტული პოზიციების შესაბამისად, მოთხოვნიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში.
- წარმოება სერტიფიცირებული უნდა იყოს ISO-ს სტანდარტების შესაბამისად. წარმოდგენილი უნდა იქნას (ატვირთულ იქნას ერთიან ელექტრონულ სისტემაში) შესაბამისი სერტიფიკატი.
- ტენდერში გამარჯვებულმა ორგანიზაციამ საქონლის ყოველი პარტიის მიწოდებისას ყოველ ჯერზე უნდა წარმოადგინოს წარმოშობის დამადასტურებელი შესაბამისი სერტიფიკატი
- პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას ინფორმაცია შემოთავაზებული საქონლის გარანტიების ვადებისა და პირობების შესახებ სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული დანართი №3-ს შესაბამისად, შემოთავაზებული საქონლის საგარანტიო პერიოდი უნდა განისაზღვრებოდეს არანაკლებ 40 000 კმ-ით.
- პრეტენდენტის მიერ, სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული დანართი №4-ს შესაბამისად წარმოდგენილ უნდა იქნას ინფორმაცია ორგანიზაციის რეკვიზიტების შესახებ.
- შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი ყველა დოკუმენტი და/ან ინფორმაცია პრეტენდენტის მიერ ატვირთული უნდა იქნას ერთიან ელექტრონულ სისტემაში.
- პრეტენდენტის მიერ წამოდგენილი (ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული) ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს ხელმძღვანელის ან/და უფლებამოსილი პირის მიერ (უფლებამოსილი პირის შემთხვევაში წარმოდგენილ უნდა იქნას (ატვირთულ უნდა იქნას ერთიან ელექტრონულ სისტემაში) ნოტარიულად დამტკიცებული უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტ(ებ)ი).

- შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, მოთხოვნის შესაბამისად პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს იმ მოთხოვნელი დოკუმენტების დედანი და/ან ნოტარიულად დამოწმებული ასლ(ებ)ი, რომელიც იყო ატვირული ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

დამატებითი ინფორმაცია:

დამატებითი ინფორმაცის მიღება შესაძლებელია შემდეგი პირებისგან: ანი მამუჩიშვილი, ნინო ჩიხლაძე ტელ: 241 87 13.

ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით – მიხეილ ტიშჩენკო 5 (77) 77 19 00

გიორგი მაღლაკელიძე 5 (77) 77 32 22

ფასების ცხრილი
დანართი №1

№	საბურავის ზომა	სეზონი	საქონლის კონრეტული დასახელება	ძირითადი მახასიათებლები	მწარმოებელი ქვეყანა	საბურავების რაოდენობა (ცალი)	ერთ. ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	265/75 R-16	ზამთარ-ზაფხული				320		
2	265/75 R-16	უგზოობა				244		

ჯამი:

შენიშვნა:

- მე-4, მე-5, მე-6, მე-8 და მე-9 გრაფები ივსება პრეტენდენტის მიერ.

აუცილებელი პირობა:

- მე-4 გრაფაში მითითებულ უნდა იქნას შემოთავაზებული საქონლის კონკრეტული დასახელება (ფირმა და არსებობის შემთხვევაში მისი მოდელი).

პრეტენდენტის ხელმოწერა ——————————————— / /

ბ.ა

ხელმომწერის სახელი, გვარი

მიწოდების გრაფიკი

დანართი №2

№	საქონლის დასახელება	საბურავი ტიპი	რ-ობა (ცალი)	მიწოდების ვადები	მიწოდების ადგილი
1	265/75 R-16	ზამთარ-ზაფხული	320	100 ცალი ხელშეკრულების გაფორმებიდა 20 კალენდარული დღის განმავლობაში 220 ცალი ხელშეკრულების გაფორმებიდა 50 კალენდარული დღის განმავლობაში	ქ. თბილისი, ქიზიყის ქ. №5, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საწყობი
2	265/75 R-16	უგზოობა	244	ხელშეკრლების გაფორმების შემდეგ 2011 წლის 31 ოქტომბრამდე	

შენიშვნა: საქონლის დასახელების გრაფაში საბურავების ზომებთან ერთად მითითებულ უნდა იქნას შემოთავაზებული საქონლის კონკრეტული დასახელება (ფირმა და არსებობის შემთხვევასი მისი მოდელი).

პრეტენდენტის ხელმოწერა _____ / /

ბ.ა **ხელმომწერის სახელი, გვარი**

საგარანტიო ვადა და პირობები

დანართი №3

№	საქონლის დასახელება	საგარანტიო პერიოდი	გარანტიის პირობები	გარანტიის პერიოდში გამოვლენილი დეფექტების მქონე საქონლის შეცვლის ოპერატიულობა (ვადა)
1	265/75 R-16	40000 კმ	შეცვლა ახლით	შეტყობინების მიღებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
2	265/75 R-16			

შენიშვნა:

- საქონლის დასახელების გრაფაში საბურავების ზომებთან ერთად მითითებულ უნდა იქნას შემოთავაზებული საქონლის კონკრეტული დასახელება (ფირმა და არსებობის შემთხვევასი მისი მოდელი).
- პრეტენდენტის მიერ მოცემული საგარანტიო პერიოდის გაზრდის შემთხვევაში შესაძლებელია მისი შეცვლა

პრეტენდენტის ხელმოწერა _____ / /

ბ.ა **ხელმომწერის სახელი, გვარი**

რ ე კ ვ ი ზ ი ტ ე ბ ი

დანართი №4

პრეტენდენტის დასახელება	
საინდენტიფიკაციო კოდი	
სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი	
რეგისტრაციის თარიღი	
საქმიანობის სფერო	
იურიდიული მისამართი	
ფაქტობრივი მისამართი	
ოფისის ტელეფონი	
მობილური ტელეფონი	
ფაქსი	
E-mail	
ხელმძღვანელის სახელი გვარი	
ხელმძღვანელის პირადი №	
მომსახურე ბანკის დასახელება, ბანკის კოდი	
ანგარიშის ნომერი	

პრეტენდენტის ხელმოწერა ——————————————————— / /

ბ.ა ხელმომწერის სახელი, გვარი

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2011 წლის “____” _____” ქ.თბილისში

შემსყიდველი - ———————————————————— სახით,

მისამართი: ქ.თბილისი, კახეთის გზატკეცილი №38

საბანკო რეკვიზიტები: ა/ა №200122900 „საქართველოს სახ. ხაზინა", კოდი 220101222, ს/კ 205041177

მიმწოდებელი -	
მისამართი, ტელეფონი -	
გენ. დირექტორი -	
საბანკო რეკვიზიტები -	

ერთის მხრივ - **შემსყიდველი** და მეორეს მხრივ – **მიმწოდებელი**, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე: შემსყიდველმა გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი შესყიდვაზე:

_____

(საქონლის მოკლე აღწერა)

და მიიღო მიმწოდებლისაგან სატენდერო წინადადება საქონლის მიწოდებაზე შემდეგ თანხაზე (მოცემული თანხა წარმოდგენილია ერთიან ელექტრონულ სისტემაში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო თანხის შესაბამისად):

_____

(მიუთითეთ ხელშეკრულების თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

(შემდგომში “ხელშეკრულების ფასი”)

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:

ა) წინამდებარე ხელშეკრულება;

ბ) ფასების ცხრილი (დანართი №1);

გ) მიწოდების გრაფიკი (დანართი №2);

დ) საგარანტიო ვადა და პირობები (დანართი №3);

ე) ტექნიკური დავალება;

ვ) ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები;

ზ) ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა.

შემსყიდველის მხრიდან: **მიმწოდებლის მხრიდან:**

_____ _____

სპეციფიკური პირობები

ერთის მხრივ - **შემსყიდველი** და მეორეს მხრივ - **მიმწოდებელი**, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულების დანართი №1-ში, (ფასების ცხრილი) აღნიშნული საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად:

_____
(საქონლის მოკლე აღწერა)

1.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.

2. ხელშეკრულების ფასი

2.1. საქონლის დასახელება, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მაჩვენებლები, მწარმოებელი ქვეყანა, აგრეთვე რაოდენობა და ერთეულის ფასი მოყვანილია დანართი №1-ში (ფასების ცხრილი), რომელიც თან ერთვის აღნიშნულ ხელშეკრულებას და ითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

2.2. **ხელშეკრულების ფასი შეადგენს:**

_____
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

2.3. საქონლის ერთეულის ფასი და ხელშეკრულების ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მათ შორის ტრანსპორტირების ხარჯებს, დაკავშირებულს საქონლის მიწოდებასთან და შემსყიდველის საკუთრებაში გადაცემასთან მიწოდების გრაფიკში (დანართი №2) მითითებულ მისამართზე.

2.4. ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათ შორის:

2.4.1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 389 მუხლის საფუძველზე, ეროვნული ვალუტის კურსის აშშ დოლართან მიმართებაში ცვალებადობის მიხედვით აღნიშნული კურსის +/-10%-ზე მეტი ცვლილების შემთხვევაში ამ ხელშეკრულების დადების თარიღისა და მიწოდების თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალუტო კურსების შედარებით როგორც ზრდის, ასევე შემცირების შემთხვევაში;

2.4.2. საგადასახადო რეჟიმის შეცვლა, რაც უშუალო ზეგავლენას მოახდენს ამ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე და გაზრდის ან შეამცირებს ფასებს +/-10%-ზე მეტი ოდენობით;

2.5. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს.

2.6. ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით 10 დღით ადრე.

3. ხარისხი

3.1. საქონლის ტექნიკური მახასიათებლები და ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ ხელშეკრულების №1 დანართსა და ტექნიკურ დავალებაში აღნიშნულ მაჩვენებლებს.

3.2. მიწოდებულ საქონელზე საგარანტიო ვადის ათვლა იწყება საქონლის მიწოდების დღიდან და მოქმედებს დანართი №3-ში (საგარანტო პერიოდი და პირობები) მითითებულ გარბენის შესაბამისად.

3.3. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი იქნება ახალი, ქარხნული წარმოების, არ იქნება დაზიანებული (არ გამოავლენს ხარვეზებს), საქონლის ტექნიკური და ხარისხობრივი მახასიათებლები სრულ შესაბამისობაში მოვა №1 დანართსა და ტექნიკურ დავალებაში აღნიშნულ მაჩვენებლებთან და იქნება მოხმარებისთვის ვარგისი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს საგარანტიო პერიოდში აღმოჩენილი დეფექტის მქონე, ასევე დაზიანებული და წუნდებული საქონლის შეცვლა დანართი №3-ში მითითებული პირობების შესაბამისად.

4. მიწოდების წესი

4.1. საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს **მიმწოდებელი** საკუთარი ხარჯებით, ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ დანართი №2-ში მითითებული საქონლის მიწოდების ვადებისა და პირობების შესაბამისად.

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია საქონლის მიწოდებისას უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული თანმხლები დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენა.

4.3. შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირება და შემოწმება/ტექნიკური კონტროლი, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს ინსპექტირების ჩატარების დროს. ინსპექტირებას განახორციელებს: შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამეურნეო უზრუნველყოფისა და ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და კომპიუტერული მომსახურების განყოფილებები.

4.4. შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი დაგვიანებით მიწოდებული, ან უხარისხო (წუნდებული), ან არასრული თანმხლები დოკუმენტაციის მქონე საქონლის პარტიის მიღებაზე.

4.5. საქონლის გადაცემა დასტურდება ორივე მხარის მიერ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელის მოწერით.

4.6. მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონლზე ეკუთვნის და რისკები მისი შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, გაფუჭებაზე ან რაიმე ზიანზე ეკისრება მიმწოდებელს, ხოლო ხელმოწერის მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.

4.7. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

5. ანგარიშსწორების წესი

5.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ანაზღაურება საქონლის ყოველი პარტიის გადაცემის შემდეგ 30 კალენდარული დღის განმავლობაში ამ ხელშეკრულების 4.2 და 4.5 პუნქტების მიხედვით წარმოდგენილი საბუთების საფუძველზე.

5.2. ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი.

5.3. გადახდის ფორმა: გადარიცხვა მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

5.4. 5.1 პუნქტის შესრულებისათვის, წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისრულეზე და რეალობაზე პასუხისმგებელია 4.3 პუნქტში მითითებული განყოფილებები.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. მხარეები ვალდებულნი არიან სრულად აუნაზღაურონ ერთმანეთს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანი.

6.2. გარდა 6.1. პუნქტში აღნიშული ზიანის ანაზღაურებისა შემსყიდველი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების 4.1 პუნქტით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადებისა და ამ ხელშეკრულების 3.3. პუნქტით გათვალისწინებული ვადების გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.3 %-ის ოდენობით.

6.3. გარდა 6.1. პუნქტში აღნიშული ზიანის ანაზღაურებისა, ამ ხელშეკრულების 5.1 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.3 %-ის ოდენობით.

7. ფორს-მაჟორი

7.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

7.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

7.4. ფორს-მაჟორული პირობების გათვალისწინება რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. სხვა პირობები

8.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2011 წლის 31 დეკემბრამდე** და/ან მხარეთა მიერ თავის მოვალეობების სრულ შესრულებამდე.

8.2. მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. 30 დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს განიხილავს სასამართლო.

8.3. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

8.4. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში, რაზედაც მხარემ უნდა აცნობოს მეორე მხარეს 10 დღით ადრე.

8.5. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.6. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

8.7. ეს ხელშეკრულება დადებულია სატენდერო დოკუმენტაციით, განზრახვათა შესახებ ხელშეკრულებითა და გამარჯვებული პრეტენდენტის (ამ ხელშეკრულებით – მიმწოდებლის) ტექნიკური დოკუმენტაციით გათვალისწინებული პირობების საფუძველზე.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

შემსყიდველის მხრიდან	**მიმწოდებლის მხრიდან**
_____	_____

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა
(საბანკო გარანტია)

ვის:_____
_____
(შემსყიდველის დასახელება)

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ
_____

(მიმწოდებლის დასახელება)

შემდგომში „მიმწოდებელმა“_____ ტენდერში წარდგენილი თავისი
(ტენდერის დასახელება)

სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია.
ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე:
_____
(თანხა ციფრობრივად, სიტყვიერად, ვალუტის მითითებით)

და ვკისრულობთ ზემო აღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე.
წინამდებარე გარანტია ძალაშია ----------.
გარანტების ხელმოწერა და ბეჭედი

_____

_____

_____
(თარიღი)

_____
(მისამართი)